

შპს „დიოლერ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერი

შინაარსი

1. ფინანსური მდგომარეობის უწყისი, „დიოლერ ჯორჯია“	3
2. სრული შემოსავლის ანგარიშგება, „დიოლერ ჯორჯია“	5
3. საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება, „დიოლერ ჯორჯია“	7
4. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	9
5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა	10
6. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები	13
7. სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება	13
8. შენიშვნები	14
9. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები	16

1. ფინანსური მდგომარეობის უწყისი, „დიოლერ ჯორჯია“

	მენიშვნა	12/31/2023	12/31/2022
გრძელვადიანი აქტივები	-	<u>182,180</u>	<u>214,854</u>
ძირითადი საშუალებები	1	180,203	214,523
არამატერიალური აქტივები	1	1,978	331
მოკლევადიანი აქტივები	-	<u>8,821,627</u>	<u>8,734,954</u>
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	2	762,233	180,816
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	3	4,759,062	5,003,036
მომწოდებელზე გადახდილი ავანსი		6,088	2,264
წინასწარ გაწეული ხარჯები		8,162	2,398
მარაგები		3,286,082	3,499,395
წინასწარ გადახდილი ხელფასები		-	15,629
წინასწარ გადახდილი საგადასახადო ვალდებულებები		-	31,416
		-	-
მთლიანი აქტივები	-	<u>9,003,808</u>	<u>8,949,808</u>
		-	-
მთლიანი კაპიტალი	-	<u>8,007,072</u>	<u>6,169,484</u>
საწესდებო კაპიტალი		6,000	6,000
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		6,163,484	4,506,626
პერიოდის მოგება/(ზარალი)		1,837,588	1,656,858
მთლიანი ვალდებულებები	-	<u>996,735</u>	<u>2,780,324</u>
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		849,998	2,772,709
გადასახდელი ხელფასები		66,273	-
მიღებული ავანსები		6,616	7,615
საგადასახადო ვალდებულებები		73,849	-
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები	-	<u>9,003,808</u>	<u>8,949,808</u>

შპს „დიოლერ ჯორჯია“
ფინანსური ანგარიშგება
2023 წელი

შპს „დიოლერ ჯორჯია“
ფინანსური ანგარიშგება
2023 წელი

1. ფინანსური მდგომარეობის უწყისი, „დიოლერ ჯორჯია“

	შენიშვნა	12/31/2023	12/31/2022
გრძელვადიანი აქტივები		182,180	214,854
ძირითადი საშუალებები	1	180,203	214,523
არამატერიალური აქტივები	1	1,978	331
მოკლევადიანი აქტივები		8,821,627	8,734,954
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	2	762,233	180,816
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	3	4,759,062	5,003,036
მომწოდებელზე გადახდილი ავანსი		6,088	2,264
წინასწარ გაწეული ხარჯები		8,162	2,398
მარაგები		3,286,082	3,499,395
წინასწარ გადახდილი ხელფასები		-	15,629
წინასწარ გადახდილი საგადასახადო ვალდებულებები		-	31,416
		-	-
მთლიანი აქტივები		9,003,808	8,949,808
		-	-
მთლიანი კაპიტალი		8,007,072	6,169,484
საწესდებო კაპიტალი		6,000	6,000
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		6,163,484	4,506,626
პერიოდის მოგება/(ზარალი)		1,837,588	1,656,858
მთლიანი ვალდებულებები		996,735	2,780,324
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		849,998	2,772,709
გადასახდელი ხელფასები		66,273	-
მიღებული ავანსები		6,616	7,615
საგადასახადო ვალდებულებები		73,849	-
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		9,003,808	8,949,808

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები 14-16 გვერდზე შეადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

2023 წლის ფინანსური ანგარიშგებები დამტკიცებულია 2024 წლის 25 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

კომპანიის დირექტორი
გიორგი ოდუბაძე



ფინანსური მენეჯერი
მარიამ ფაცინაშვილი

2. სრული შემოსავლის ანგარიშგება, „დიოლერ ჯორჯია“

	შენიშვნა	12/31/2023	12/31/2022
შემოსავალი რეალიზაციიდან		16,519,649	15,583,181
თვითღირებულება		(11,548,204)	(11,831,804)
საერთო მოგება		4,971,445	3,751,377
მიწოდების დანახარჯები	4	(76,087)	(106,491)
შრომის ანაზღაურება	5	(1,750,629)	(1,479,997)
სამეურნეო ხარჯი	6	(128,278)	(130,475)
ცვეთა/ ამორტიზაცია		(60,069)	(69,695)
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	7	(688,311)	(650,340)
სხვა ხარჯები		-	-
საოპერაციო ხარჯები		(2,703,374)	(2,436,999)
საოპერაციო მოგება		2,268,071	1,314,379
საკურსო სხვაობა	8	(345,272)	365,482
სხვა შემოსავლები/ ხარჯები		(71,996)	(9,268)
სულ არასაოპერაციო ხარჯები		(417,269)	356,214
მოგება დაბეგვრამდე და პროცენტის ღარიცხვამდე		1,850,803	1,670,593
საპროცენტო შემოსავლები/ ხარჯები		(13,214)	(13,734)
მოგება დაბეგვრამდე		1,837,588	1,656,858
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		1,837,588	1,656,858

შპს „დიოლერ ჯორჯია“
ფინანსური ანგარიშგება
2023 წელი

შპს „დიოლერ ჯორჯია“
ფინანსური ანგარიშგება
2023 წელი

2. სრული შემოსავლის ანგარიშგება, „დიოლერ ჯორჯია“

	შენიშვნა	12/31/2023	12/31/2022
შემოსავალი რეალიზაციიდან		16,519,649	15,583,181
თვითღირებულება		(11,548,204)	(11,831,804)
<u>საერთო მოგება</u>		<u>4,971,445</u>	<u>3,751,377</u>
მიწოდების დანახარჯები	4	(76,087)	(106,491)
შრომის ანაზღაურება	5	(1,750,629)	(1,479,997)
სამეურნეო ხარჯი	6	(128,278)	(130,475)
ცვეთა/ ამორტიზაცია		(60,069)	(69,695)
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	7	(688,311)	(650,340)
სხვა ხარჯები		-	-
<u>საოპერაციო ხარჯები</u>		<u>(2,703,374)</u>	<u>(2,436,999)</u>
<u>საოპერაციო მოგება</u>		<u>2,268,071</u>	<u>1,314,379</u>
საკურსო სხვაობა	8	(345,272)	365,482
სხვა შემოსავლები/ ხარჯები		(71,996)	(9,268)
<u>სულ არასაოპერაციო ხარჯები</u>		<u>(417,269)</u>	<u>356,214</u>
<u>მოგება დაბეგვრამდე და პროცენტის დარიცხვამდე</u>		<u>1,850,803</u>	<u>1,670,593</u>
საპროცენტო შემოსავლები/ ხარჯები		(13,214)	(13,734)
<u>მოგება დაბეგვრამდე</u>		<u>1,837,588</u>	<u>1,656,858</u>
მოგების გადასახადი		-	-
<u>წმინდა მოგება</u>		<u>1,837,588</u>	<u>1,656,858</u>

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები 14-16 გვერდზე შეადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

2023 წლის ფინანსური ანგარიშგებები დამტკიცებულია 2024 წლის 25 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

კომპანიის დირექტორი
გიორგი ოდიშარია



ფინანსური მენეჯერი
მარიამ ფაცინაშვილი



3. საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება, „დიოლერ ჯორჯია“

	<u>საწესდებო კაპიტალი</u>	<u>გადაფასების რეზერვი</u>	<u>გაუნაწილობელი მოგება</u>	<u>მთლიანი კაპიტალი</u>
2021 წლის 31 დეკემბერი	6,000	-	4,506,626	4,512,626
წმინდა მოგება	-		1,656,858	1,656,858
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	1,656,858	1,656,858
გაცემული დივიდენდი	-		-	
2022 წლის 31 დეკემბერი	6,000	-	6,163,484	6,169,484
წმინდა მოგება	-		1,837,588	1,837,588
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	1,837,588	1,837,588
გაცემული დივიდენდი	-	-	-	
2023 წლის 31 დეკემბერი	6,000	-	8,001,072	8,007,072

შპს „დიოლერ ჯორჯია“
ფინანსური ანგარიშგება
2023 წელი

შპს „დიოლერ ჯორჯია“
ფინანსური ანგარიშგება
2023 წელი

3. საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება, „დიოლერ ჯორჯია“

	<u>საწესდებო კაპიტალი</u>	<u>გადაფასების რეზერვი</u>	<u>გაუნაწილებელი მოგება</u>	<u>მთლიანი კაპიტალი</u>
2021 წლის 31 დეკემბერი	6,000	-	4,506,626	4,512,626
წმინდა მოგება	-		1,656,858	1,656,858
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	1,656,858	1,656,858
გაცემული დივიდენდი	-		-	
2022 წლის 31 დეკემბერი	6,000	-	6,163,484	6,169,484
წმინდა მოგება	-		1,837,588	1,837,588
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	1,837,588	1,837,588
გაცემული დივიდენდი	-	-	-	
2023 წლის 31 დეკემბერი	6,000	-	8,001,072	8,007,072

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები 14-16 გვერდზე შეადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

2023 წლის ფინანსური ანგარიშგებები დამტკიცებულია 2024 წლის 25 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

კომპანიის დირექტორი
გიორგი ოდიშარი



ფინანსური მენეჯერი
მარიამ ფაცინაშვილი

კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „დიოლერ ჯორჯია“ (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა და დარეგისტრირდა საგადასახადო ორგანოში 2004 წლის 06 დეკემბერს. ფინანსური ანგარიშგების თარიღისთვის, დიოლერ ნეიჩერელ ფუდ ენდ ბევერიჯ ინგრედიენტის, წარმოადგენს კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელს.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს - უალკოჰოლო და ალკოჰოლური სასმელების მწარმოებლებისთვის არომატიზატორების, ემულსიების, საკვები საღებავების, მჟავების მიწოდებას. აგრეთვე მწარმოებლებს უწევს ტექნოლოგიური მხარდაჭერას. კომპანიის სათაო ოფისი მდებარეობს გერმანიაში.

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისის, გლდანი-ნამალადევის რაიონში, ერწოს ქ., №11.

წარდგენილი ანგარიშგების ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2023	1 იანვარი 2024
1 ევრო/ლარი	2.9753	2.9753
1 აშშ დოლარი/ ლარი	2.6894	2.6894

4. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით (მსს ფასს).

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში და ყველა ღირებულება დამრგვალებულია უახლოეს ერთეულამდე. კომპანია წარადგენს ფინანსური მდგომარეობის უწყისს, სრული შემოსავლის ანგარიშგებასა და კაპიტალის ცვლილების ანგარიშს. არ წარადგენს ქეშის მომძრაობის ანგარიშგებას.

ფუნქციონირებადი საწარმო

წინასწარი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებაზე. კომპანიის საქმიანობას მიმდინარე წელს, მნიშვნელოვანი შეფერხებები არ ქონია. მენეჯმენტის შეფასებით, კომპანია გააგრძელებს ფუნქციონირებად საწარმოდ საქმიანობას, მოახდენს აქტივების რეალიზებას და დაფარავს ვალდებულებებს ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში.

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანაგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლითი ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. შემდგომ ხდება მათი შეფასება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს საფუძველი, რომ კომპანია ვერ მიიღებს თავდაპირველი შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამის თანხას.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს შეძენის და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების შეძენის დანახარჯები მოიცავს მათი შეძენის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა კომპანიას უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და, საერთოდ, იმ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან. სხვადასხვა სახის ფასდათმობები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებებში. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულებით. ძირითადი საშუალების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა. ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

ცვეთა

კომპანია არ ფლობს მიწას. ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება კლებადი ნაშთის მეთოდით:

	%
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	13%
მანქანა-დანადგარები	9%
ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	17%
სატრანსპორტო საშუალებები	11%
არამატერიალური აქტივები	14%

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რასაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მოსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებისას ფასდება ტრანზაქციის ღირებულებით.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში.

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახდელი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა.

წინასწარ გადახდები

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან აღნიშნული წინასწარგადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად. აქტივების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა აქტივის საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ აქტივზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარგადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით იმ წელს, როდესაც მოხდება შესაძამისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

შემოსავლების აღიარება

შემოსავალი აღიარდება, როცა მოსალოდნელია, რომ კომპანია ეკონომიკურ სარგებელს მიიღებს და შემოსავლის გაზომვა საიმედოდაა შესაძლებელი, მიუხედავად იმისა, თუ როდის გახორციელდება თანხის მიღება. ამონაგების შეფასება უნდა მოხდეს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებისა და გადასახადების გათვალისწინებით. კომპანია საქმიანობს როგორც მარწმუნებელი, რადგან იგი ჩვეულებრივ აკონტროლებს საქონელს ან მომსახურებას მომხმარებლისთვის გადაცემამდე. შემოსავალი შემცირებულია მოსალოდნელი უკანდაბრუნებით, მოსალოდნელი ფასდაკლებით და მსგავსი ანარიცხებით.

პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები

პროდუქციის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა:

- კომპანია მყიდველს გადასცემს პროდუქციის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს;
- კომპანია არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;
- შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა;
- მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და

- შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალ პერიოდში გასაწევი ხარჯების საიმედოდ განსაზღვრა.

6. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე და მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებას მომავალ პერიოდში.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კოდექსი და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა

კომპანია აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს ძირითადი საშუალებით გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა მატერიალური გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მონაცემებზე.

საექვო და უიმედო ვალების რეზერვი

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურები რეზერვი ეყრდნობა კომპანიის მიერ იმის შეფასებას, თუ რამდენად მოსალოდნელია გარკვეული დებიტორებისგან თანხების ამოღება. აღნიშნული რეზერვის შეფასებისას კომპანიის ხელმძღვანელობა ინდივიდუალურად აფასებს თითოეულ დებიტორს და განიხილავს მის გადახდისთვის მზაობას.

7. სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში არ გამოვლენილა. შესადარი ინფორმაცია დარჩა უცვლელი წინა სააღრიცხვო პერიოდის შემდგომ.

8. შენიშვნები

1 აქტივები

	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	მანქანა- დანადგარები	სხვა ამორტიზებადი ძირითადი საშუალებები	სატრანსპორტო საშუალებები	არამატერიალური აქტივები	სულ
<u>საბოლოო საბალანსო ღირებულება</u>						
<u>31.12.2021</u>	<u>29,381</u>	<u>43,403</u>	<u>73,722</u>	<u>76,148</u>	<u>2,408</u>	<u>225,063</u>
პერიოდის შესყიდვა	3,095	10,593	18,951	42,253	-	74,891
პერიოდის გაყიდვა			14,094			
<u>საბოლოო ბალანსი</u>	<u>32,476</u>	<u>53,996</u>	<u>78,578</u>	<u>118,401</u>	<u>2,408</u>	<u>285,860</u>
პერიოდის ცვეთა	18,289	12,553	21,448	16,638	2,078	71,006
<u>საბოლოო საბალანსო ღირებულება</u>						
<u>31.12.2022</u>	<u>14,187</u>	<u>41,443</u>	<u>57,130</u>	<u>101,763</u>	<u>331</u>	<u>214,854</u>
პერიოდის შესყიდვა			9,250	15,862		
პერიოდის გაყიდვა						
<u>საბოლოო ბალანსი</u>	<u>14,187</u>	<u>41,443</u>	<u>66,380</u>	<u>117,625</u>	<u>331</u>	<u>239,966</u>
პერიოდის ცვეთა	8,264	12,811	19,636	18,721	(1,647)	57,785
<u>საბოლოო საბალანსო ღირებულება</u>						
<u>31.12.2023</u>	<u>5,923</u>	<u>28,632</u>	<u>46,744</u>	<u>98,903</u>	<u>1,978</u>	<u>182,180</u>

2 ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები

	<u>2023</u>	<u>2022</u>
ნაღდი ფული სალაროში ლარებში	3,450	259
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	523,754	175,115
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	235,029	5,442
	<u>762,233</u>	<u>180,816</u>
	-	-

3 სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

	<u>2023</u>	<u>2022</u>
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	4,030,648	4,166,236
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	21,169	19,554
დაკავშირებულ მხარეზე გაცემული სესხი	707,246	817,246
	<u>4,759,062</u>	<u>5,003,036</u>
	-	-

4 მიწოდების დანახარჯები

	<u>2023</u>	<u>2022</u>
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	23,701	24,136
მიწოდების სხვა ხარჯები	-	-
საწვავის ხარჯები (საერთო-ადმინისტრაციული)	51,451	53,955
საბაჟოზე გაწეული ხარჯები (ექსპორტი)	935	28,401
	<u>76,087</u>	<u>106,491</u>
	-	-

5 შრომის ანაზღაურება

	<u>2023</u>	<u>2022</u>
შრომის ანაზღაურება (საერთო-ადმინისტრაციული)	1,225,484	985,787
ბონუსი	525,145	494,210
	<u>1,750,629</u>	<u>1,479,997</u>
	-	-

6 სამეურნეო ხარჯი

	<u>2023</u>	<u>2022</u>
კომუნალური ხარჯი	(33,283)	(34,073)
საოფისე ინვენტარის ხარჯები	(5,806)	(4,479)
სამეურნეო ხარჯი	(27,094)	(43,240)
საფოსტო ხარჯი	(9,103)	(10,393)
ტრენინგის ხარჯი	(3,810)	(828)
თარგმანის ხარჯი	(4,029)	(2,610)
1000 ლარამდე ინვენტარი და მოწყობილობა	(11,559)	(12,827)
ძირითადი საშუალებების ხარჯი	(32,283)	(20,714)
საერთო დანიშნულების არამატ. აქტივების ამორტიზაცია	(1,311)	(1,311)
	<u>(128,278)</u>	<u>(130,475)</u>

7 ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი

	<u>2023</u>	<u>2022</u>
საიჯარო ქირა	(359,383)	(334,453)
საერთო დანიშნულების დაზღვევის ხარჯები	(49,664)	(32,485)
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები	(47,368)	(73,333)
ინტერნეტით მომსახურება	(41,061)	(28,452)
საგადასახადო ხარჯები	(25,039)	(40)
წარმომადგენლობითი ხარჯები	(62,543)	(60,990)
სხვა ხარჯები	(34,014)	(26,320)
კომუნიკაციის ხარჯები	(14,218)	(16,917)
მივლინების ხარჯები (საერთო-ადმინისტრაციული)	(17,637)	(36,868)
რეკლამის ხარჯები	(13,598)	(25,976)
საპენსიო ფონდი	(8,963)	(7,504)
საკანცელარიო ხარჯები	(5,348)	(5,384)
წარმომადგენლობითი ლაბორატორია	(3,199)	-
საექვო მოთხოვნებთან დაკავშირებული ხარჯები	(3,094)	-
ობიექტის დაცვის ხარჯები	(2,161)	(1,619)
კომპიუტერის ხარჯები	(567)	-
რემონტი	(453)	-
	(688,311)	(650,340)

8 საკურსო სხვაობა

	<u>2023</u>	<u>2022</u>
დადებითი საკურსო სხვაობები	152,647	849,393
უარყოფითი საკურსო სხვაობები	(497,920)	(483,911)
	(345,272)	365,482

9. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

მოვლენები, რომლებიც თავს იჩენს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე და გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე, ასახულია წინამდებარე ანგარიშგებაში. ხოლო მოვლენები, რომლებიც თავს იჩენს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე და გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე, აისახება ახსნა-განარტებით შენიშვნებში.

2023 წლის დეკემბრის თვეში დაინიშნა კომპანიის სრული საგადასახადო შემოწმება, რომელიც დასრულდა 2024 წლის მიმდინარე პერიოდში. საგადასახადო შემოწმების შედეგებიდან გამომდინარე, კომპანიას არ დაეკისრა დამატებით გადასახდელი საგადასახადო ვალდებულება. ასევე, 31 დეკემბრის მდგომარეობით შემოსავლების სამსახურის მხრიდან ჩატარდა მარაგების სრული ინვენტარიზაცია, რომლის შედეგებიც საბოლოოდ ცნობილი გახდა 2024 წლის ივლისის თვეში, თუმცა ინვენტარიზაციასთან დაკავშირებული შედეგები ასახულია ამ ანგარიშგებაში.